დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი''
დირექტორის # 26 19.04.2019წ ბრძანებით
(ცვლილება-2022 წლის 07 მარტი # 15 ბრძანება)

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი"

ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ კოლეჯ,,ოპიზარის" ს(შემდგომში - კოლეჯი) ბიბლიოთეკა (შემდგომში – ბიბლიოთეკა) წარმოადგენს კოლეჯის სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ასრულებს სასწავლო, სამეცნიერო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ამოცანებს.
2. ბიბლიოთეკა ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს, აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას, ქმნის წიგნიერ გარემოს და ამაღლებს სასწავლო პროცესის აკადემიურ დონეს.
3. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
4.ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10:00-სთ-დან 18:00-სთ-მდე. ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებს შაბათ-კვირას და კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე და დასვენების დღეებში;
4. კოლეჯის ბიბლიოთეკის მუშაობას უძღვება ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით.

მუხლი 2. კოლეჯის ბიბლიოთეკის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

ა) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა;
ბ) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;
გ) მკითხველის თანასწორუფლებიანობა;
დ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა;
ე) ოპერატიულობა.

2. ბიბლიოთეკის ამოცანებია:

ა) კოლეჯის საინფორმაციო-საგანმანათლებლო საინფორმაციო სფეროს განვითარების ხელშეწყობა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, კოლეჯის ელექტრონული ბაზების შედგენა და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული ფონდების ავტომატიზაცია;
ბ) ბიბლიოთეკის მომხმარებელთა (კოლეჯის პერსონალი, სტუდენტი) სწრაფი და სრული უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის;
გ) ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების, მკითხველთა მომხმარებელთა მოთხოვნების მიხედვით;

დ) საცნობარო-საინფორმაციო აპარატის, კატალოგების, მონაცემთა ბაზების ორგანიზაცია და მართვა;
ე) საბიბლიოთეკო მუშაობის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის, კომპიუტერიზაციის და საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების ფორმირების საფუძველზე.

3. ბიბლიოთეკის ფუნქციებია:

ა) საცნობარო-საინფორმაციო ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნა და მართვა;
ბ) ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად;
გ) ბიბლიოთეკის მომხმარებელთა (კოლეჯის პერსონალი, სტუდენტები/მსმენელები) უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;
დ) ბიბლიოთეკის ფონდის განახლება და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
ე) ბიბლიოთეკის ფონდის მოვლა, დაცვა და აღრიცხვა.
ვ) ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი. ბიბლიოთეკის მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა.
ზ) ფონდის დაკომპლექტება ბეჭდური და ელექტრონული მასალებით.
თ) ელექტრონული ან/და ბეჭდური კატალოგების შექმნა.
ი) საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება.
კ) მკითხველის მიერ წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვა.
ლ) მკითხველის საბიბლიოთეკო ასლგადამღებით, პრინტერით და სკანერით მომსახურება.
მ) საჭიროების შემთხვევაში საგანში სასწავლო მასალების გადამრავლება, აკინძვა, წიგნად დამუშავება და აღრიცხვა.

მუხლი 3. კოლეჯის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა და საქმიანობა

1. კოლეჯის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი.
2. ბიბლიოთეკარი პასუხისმგებელია კოლეჯის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვაზე.
3. ბიბლიოთეკარი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.
4. ბიბლიოთეკაში პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მომსახურეობა უფასოა.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. ბიბლიოთეკის დებულებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. წინამდებარე დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.